

# საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

## ბრძანება №149

2015 წლის 19 ოქტომბერი

ქ. თბილისი

### ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ

პატიმრობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვბრძანებ:

#### მუხლი 1

დამტკიცდეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესი №1 დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 2

დამტკიცდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის საბადრაგო უწყისის ფორმა №2 დანართის, სასამართლოში ეტაპირებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სასამართლო პროცესზე წარდგენილ პირთა უწყისი ფორმა №2<sup>ა</sup> დანართის, საბადრაგო უწყისის ფორმა №3 დანართის, სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ამანათის გადაცემის უწყისის ფორმა №4 დანართის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მონახულების უწყისის ფორმა №5 დანართის, სასამართლო დაწესებულებაში ეტაპირებული ბრალდებულ/მსჯავრდებულის ჩაბარების საბადრაგო უწყისის ფორმა №6 დანართის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული შემოწმების ოქმის ფორმა №7 დანართის, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანის ჟურნალის ფორმა №8 დანართის შესაბამისად.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 19.04.2016 წ.*

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება №60 - ვებგვერდი, 04.05.2016 წ.*

#### მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 17 დეკემბრის №178 ბრძანება.

#### მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა  
და პრობაციის მინისტრი

კახა კახიშვილი

დანართი №1

### ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესი

#### თავი I ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1

ეს წესი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/ გადაყვანისას ბადრაგირებისა და საგანგებო ვითარებაში მოქმედების ორგანიზებისა და განხორციელების წესს.



## მუხლი 2

1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირებას (შემდგომში - ბადრაგირება) ახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) პენიტენციური დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს საბადრაგო სამმართველო (შემდგომში - საბადრაგო სამმართველო). ბადრაგირების უსაფრთხოებას, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველო.

2. ბადრაგირების განხორციელების თაობაზე დეპარტამენტი ყოველი თვის ბოლოს სამინისტროს წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც ასახული უნდა იქნეს ინფორმაცია ბადრაგირების განხორციელების რაოდენობის და მიზეზის შესახებ.

## მუხლი 3

ბადრაგირება საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეთა ჯგუფის (შემდგომში - საბადრაგო ჯგუფი) მიერ შესაძლებელია განხორციელდეს ქვეითი წესით, სპეციალურად აღჭურვილი სატრანსპორტო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით.

## მუხლი 4

ბადრაგირება ხორციელდება:

ა) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანისას სასამართლო პროცესებზე ან საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად - საქართველოს საერთო სასამართლოების ან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამის უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, რომელიც არ საჭიროებს დამატებითი გადაწყვეტილების მიღებას;

ბ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას საგამომიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად - პროკურორის დადგენილებით ან სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის გამომიებლის წერილობითი მოთხოვნითა და დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით;

გ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ექსტრადიციისას - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მოთხოვნითა და დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით;

დ) მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაწესებულების დროებით დატოვებისას განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით - მსჯავრდებულის, მისი დამცველის/კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის შუამდგომლობით, სამინისტროს პენიტენციური დაწესებულების დირექტორის (შემდგომში - დაწესებულების დირექტორი) წარდგინებითა და დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით;

ე) ბრალდებულის მიერ პატიმრობის კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაწესებულების დროებით დატოვებისას განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით - გამომიებლის ან პროკურორის ნებართვითა და დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით;

ვ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პატიმრობის კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაყვანისას, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოდან სხვა სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანისას - სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით;

ზ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანისას სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებიდან (შემდგომში - დაწესებულება) მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ან საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩასატარებლად - დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე;

თ) დაწესებულებიდან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სხვა დაწესებულებაში გადაყვანისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით.

ი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანისას დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად



- დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით;

კ) მსჯავრდებულის გაყვანისას სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) ზეპირ სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად - საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით;

ლ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გადაყვანისას - საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც არ საჭიროებს დამატებითი გადაწყვეტილების მიღებას;

მ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაწესებულების გარეთ სამუშაოდ გაყვანის მიზნით, უფლებამოსილი პირის წერილობითი მომართვის საფუძველზე.

ნ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 19.04.2016 წ.*

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება №61 - ვებგვერდი, 04.05.2016 წ.*

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №117 - ვებგვერდი, 19.08.2016 წ.*

## **მუხლი 5**

საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეები მომზადებას და გადამზადებას გადიან სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში.

## **მუხლი 6**

ბადრაგირებისას აკრძალულია დისკრიმინაციული მოპყრობა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის თუ სხვა საფუძველით.

## **მუხლი 7**

ქალთა (მათ შორის ორსულ ან/და 3 წლამდე ასაკის ბავშვთან ერთად), არასრულწლოვანთა, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ბადრაგირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ მოთხოვნილებებს, ფიზიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ საჭიროებებს, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალების ტიპის შერჩევას, კონტროლის მეთოდებსა და ხელბორკილების გამოყენებას.

## **თავი II**

### **ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ბადრაგირება**

## **მუხლი 8**

1. ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირი/ორგანო ბადრაგირების განხორციელების მოთხოვნით წერილობით მიმართავს დეპარტამენტს ბადრაგირების განხორციელებამდე არანაკლებ 48 საათისა, გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ბადრაგირების განხორციელების შესახებ მოთხოვნა, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია დეპარტამენტში გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე - kancelaria@moc.gov.ge.

3. ამ წესის მე-4 მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი ბადრაგირების განხორციელების რეკომენდაციით, წერილობით მიმართავს დეპარტამენტს გაყვანამდე/გადაყვანამდე არანაკლებ წინა სამუშაო დღის 17 საათისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბადრაგირების თაობაზე დეპარტამენტში დარეგისტრირებული მოთხოვნა გადაეცემა საბადრაგო სამმართველოს უფროსს, რომელიც ახორციელებს ბადრაგირების ორგანიზებას.



5. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გაყვანა/გადაყვანისას დეპარტამენტის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება ვიზირებული უნდა იქნეს დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსისა და უსაფრთხოების დარგში დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მიერ. ვიზირებამდე დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველო შეისწავლის გასაყვან/გადასაყვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პიროვნებას, ბადრაგირების მიზანშეწონილობას, მოსალოდნელ საფრთხეებს, ასევე სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბადრაგირების პროცესსა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის დანიშნულების ადგილას განთავსების უსაფრთხოების საკითხს.

6. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გაყვანა/გადაყვანისას, თუ გასაყვან/გადასაყვან პირთა ნაწილის ბადრაგირება საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, საბადრაგო სამმართველოს უფროსი მოტივირებული პატივით მიმართავს დეპარტამენტის დირექტორს საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების შესახებ. თანხმობის შემთხვევაში, დეპარტამენტის დირექტორის ბრძანება ვიზირებული უნდა იქნეს ბადრაგირების სამმართველოს უფროსის, დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს უფროსის და გარე დაცვისა და ბადრაგირების დარგში დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის მიერ. ბრძანება აღსასრულებლად გადაეცემა სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარ სამმართველოს.

7. გადაუდებელ შემთხვევებში, დაუყოვნებელი რეაგირების აუცილებლობისას, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის დაყოვნება საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მართლმსაჯულების განხორციელებას ან სხვა სამართლებრივ სიკეთეებს და უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, ობიექტურად დადასტურებული გარემოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ამ მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული ვადის დაცვა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას, ბადრაგირების ინიციატორი ტელეფონით უკავშირდება დეპარტამენტის ოპერატიული მართვისა და კოორდინაციის განყოფილებას (შემდგომში – განყოფილება). განყოფილების მოსამსახურე ვალდებულია ბადრაგირების ინიციატორთან დააზუსტოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანის ჟურნალში (შემდგომში – ჟურნალი) (დანართი №8) მითითებული ინფორმაცია. მიღებულ ინფორმაციას განყოფილება დაუყოვნებლივ აწვდის დეპარტამენტის დირექტორს, ხოლო მასთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში – დეპარტამენტის დირექტორის პირველ მოადგილეს ან დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსს. გაყვანა/გადაყვანის ინიციატორი ვალდებულია, გაყვანა/გადაყვანის შესახებ ამ პუნქტით გათვალისწინებული სატელეფონო შეტყობინებით გადაცემული მოთხოვნა, წერილობითი ფორმით, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, გადააგზავნოს განყოფილების ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – centri@moc.gov.ge ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში – eflow. წერილობითი ფორმით გადაცემულ მოთხოვნაში გაყვანა/გადაყვანის ინიციატორი ვალდებულია, დეტალურად აღწეროს გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანის მოთხოვნის საფუძველი და აუცილებლობა, ასევე ის შესაძლო საფრთხეები, რაც გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანის დაყოვნებას შეეძლო გამოეწვია.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილის ან დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, მოხსენებითი პატივით მიმართავს დეპარტამენტის დირექტორს და მოახსენებს განხორციელებული ბადრაგირების შესახებ.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დეპარტამენტის დირექტორი, ხოლო მასთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში – დეპარტამენტის დირექტორის პირველი მოადგილე ან დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსი, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის შესახებ. განყოფილება, მიღებულ გადაწყვეტილებას, ტექნიკური საშუალების გამოყენებით, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცემს ბადრაგირების სამმართველოსა და ბადრაგირების ინიციატორს. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის შესახებ ეცნობება ასევე შესაბამის დაწესებულებას.

10. თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გასაყვანი/გადასაყვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბადრაგირება საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, საბადრაგო სამმართველო ტელეფონით უკავშირდება განყოფილებას და ითხოვს საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერებას. განყოფილების მოსამსახურე ვალდებულია საბადრაგო სამმართველოს მოთხოვნის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დეპარტამენტის დირექტორს, ხოლო მასთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში – დეპარტამენტის დირექტორის პირველ მოადგილეს ან დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს უფროსს. მიღებული გადაწყვეტილება, საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების თაობაზე, ტექნიკური საშუალების გამოყენებით, აღსასრულებლად გადაეცემა საბადრაგო სამმართველოსა და დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარ სამმართველოს.



11. განყოფილება, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანის შესახებ ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორისთვის სატელეფონო საშუალებით შეტყობინებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, დეპარტამენტის დირექტორს პატაკით აწვდის გასაყვანი/გადასაყვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის შესახებ ჟურნალში დაფიქსირებულ მონაცემებს. დეპარტამენტის დირექტორი ვალდებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში, გამოსცეს ბრძანება წერილობითი ფორმით.

12. ამ წესის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებიდან გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანისას, დაწესებულების მთავარი ექიმი ან მისი არყოფნის შემთხვევაში ექიმი, ხოლო ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოდან გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანისას სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოს მკურნალი ექიმი, ტელეფონით უკავშირდება სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს, ხოლო მასთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს ან სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსს და მოახსენებს ინფორმაციას ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი ან მასთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ან სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსი, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, აფასებს გაყვანა/გადაყვანის საჭიროების საკითხს. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანისთვის მოიძიებს შესაბამის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოს, ტელეფონით უკავშირდება და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს განყოფილებას. განყოფილება, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საავადმყოფოში გაყვანა/გადაყვანისას, ხელმძღვანელობს ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით. ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდებულის მსჯავრდებულის გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანა ხორციელდება ამ პუნქტით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ან სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სპეციალიზებული სამედიცინო სერვისების სამმართველოს უფროსი, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანის შესახებ განყოფილებიდან მიღებული დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, მოხსენებითი ბარათით მიმართავს სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსსა და შესაბამის კურატორ მინისტრის მოადგილეს და მოახსენებს განხორციელებული/განუხორციელებელი ბადრაგირების შესახებ.

14. ამ მუხლით გათვალისწინებული სატელეფონო საუბრები (გარდა სამოქალაქო სექტორის მკურნალი ექიმის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარებისა) იწერება ტექნიკური საშუალების გამოყენებით და ფიქსირდება საამისოდ განსაზღვრულ ჟურნალში, სატელეფონო საუბრის მონაწილეების, დროისა და მიღებული/გაცემული ინფორმაციის მითითებით. ჩაწერილი სატელეფონო საუბრები ინახება 1 წლის ვადით.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 19.04.2016 წ.*

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება №60 - ვებგვერდი, 04.05.2016 წ.*

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №117 - ვებგვერდი, 19.08.2016 წ.*

## **მუხლი 9**

ბადრაგირების განსახორციელებლად ინიშნება საბადრაგო ჯგუფი (ბადრაგი) არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით და განისაზღვრება უფროსი. საბადრაგო ჯგუფის შემადგენლობა და რაოდენობა განისაზღვრება შესასრულებელი ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე.

## **მუხლი 10**

1. თუ დაწესებულებებს შორის მანძილი არ აღემატება 150 მეტრს, ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებაში ბადრაგირება ხორციელდება დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით, დეპარტამენტის გარე დაცვის სამმართველოს შესაბამისი განყოფილების ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ მოსამსახურეებისაგან შექმნილი ჯგუფის მიერ.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გადაყვანა ხორციელდება იმ დაწესებულების უსაფრთხოების ან/და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლების თანხლებით, საიდანაც ხორციელდება ბადრაგირება.

## **მუხლი 11**



ბადრაგირებისას საბადრაგო ჯგუფის შემადგენლობას, შეიარაღებას, ვადებს და პასუხისმგებელ პირებს განსაზღვრავს დეპარტამენტის საბადრაგო სამმართველოს შტაბი, ამავე სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით.

## მუხლი 12

ბადრაგირების გეგმურ მარშრუტებს ამტკიცებს დეპარტამენტის დირექტორი, საბადრაგო სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

## მუხლი 13

ბადრაგირების გეგმური მარშრუტები დგინდება შემდეგი მაჩვენებლების გათვალისწინებით:

- ა) გაყვანა/გადაყვანისას ამოცანათა შესრულება რეისების მინიმალური რაოდენობით;
- ბ) ბადრაგირების უზრუნველყოფა უმოკლესი მიმართულებით უსაფრთხოების გათვალისწინებით;
- გ) ძალებისა და საშუალებების ეკონომიური გამოყენება.

## მუხლი 14

ბადრაგირებისას აუცილებელია საბადრაგო უწყისი (დანართი №2) და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 10 მაისის №82 ბრძანებით დამტკიცებული წესის №13 დანართით განსაზღვრული გამყოლი ფურცელი, ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმიდან (შემდგომში - გამყოლი ფურცელი).

## მუხლი 15

1. ბადრაგირება წარმოებს ბადრაგირების სქემის მიხედვით, რომელსაც ამზადებს საბადრაგო სამმართველო და ამტკიცებს დეპარტამენტის დირექტორი.

## მუხლი 16

1. ამ წესის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საბადრაგო უწყისი უნდა შეიცავდეს: ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სახელსა და გვარს.
2. იმ პირთა სახელებს, გვარებს და თანამდებობებს, რომლებმაც ჩაატარეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სრული შემოწმება, აგრეთვე ინფორმაციას ბადრაგირების დროს მომხდარი ინციდენტის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაყვანა/გადაყვანაზე პასუხისმგებელი პირი აფიქსირებს შესაბამის დოკუმენტში.

## მუხლი 17

ამ წესის მე-14 მუხლით განსაზღვრული გამყოლი ფურცელი ივსება ბრალდებულის/მსჯავრდებულის საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეთათვის გადაცემამდე დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

## მუხლი 18

საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეები და ბრალდებულები/მსჯავრდებულები ერთმანეთს მიმართავენ „თქვენობით“.

## მუხლი 19

1. გაყვანა/გადაყვანისთვის განკუთვნილი სპეციალური სატრანსპორტო საშუალებები გამოიყენება მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით. ისინი უნდა იყოს ტექნიკურად გამართული.
2. აკრძალულია ბადრაგირებისას ისეთი სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, რომელიც არის დამამცირებელი ან ფიზიკურ ტანჯვას მიაყენებს მათ ან რომელშიც არ არის საკმარისი ვენტილაცია/გათბობა, განათება, ცეცხლჩაქრობი და პორტატული პირველადი სამედიცინო დახმარების ავთიაქი.

## მუხლი 20



ბადრაგირებისას ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი უნდა იქნენ წყლითა და საკვებით იმ დაწესებულების მიერ, საიდანაც ხდება მათი გაყვანა.

## მუხლი 21

ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალთა ბადრაგირებისას სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს ჰიგიენური საშუალებები.

## მუხლი 22

ბადრაგირებისას შესაძლებელია საბადრაგო ჯგუფს თან ახლდეს სამედიცინო მუშაკი.

## მუხლი 23

სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩასხდომის ზღვრული ნორმა დგინდება ავტომანქანის კონსტრუქციის მიხედვით, მაგრამ არ შეიძლება აღემატებოდეს 25 პირს, ხოლო სპეციალურ ავტობუსებში - 60 პირს.

## მუხლი 24

ბადრაგირებისას განცალკევებით თავსდება შემდეგი კატეგორიის ბრალდებულები/მსჯავრდებულები:

ა) ქალები;

ბ) არასრულწლოვნები;

გ) უვადო თავისუფლებააღკვეთილები;

დ) პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე;

ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> ან/და 143<sup>2</sup> მუხლით/მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე/დანაშაულებზე დაზარალებულად ცნობილი პირები;

ვ) განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დაწესებულებისა და მათ გარშემომყოფთა უსაფრთხოებას;

ზ) არამართვადი ინფექციური სენით დაავადებული პირები;

თ) ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული პირები.

## მუხლი 25

ბადრაგირების დაწყებამდე საბადრაგო ჯგუფის უფროსი (შემდგომში - ჯგუფის უფროსი) ორგანიზებას უკეთებს იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სპეციალური საშუალებების მიღებას, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ შემოწმებას. სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობის შემთხვევაში მოახსენებს უშუალო უფროსს ბადრაგირებისათვის გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალების შეცვლის აუცილებლობის შესახებ.

## მუხლი 26

ბადრაგირებისთვის დაწესებულებაში მიღებისას ჯგუფის უფროსი ვალდებულია დაწესებულების ადმინისტრაციას წარუდგინოს:

ა) სამსახურებრივი მოწმობა;

ბ) სამგზავრო სია (გასაყვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სია).



## მუხლი 27

დაწესებულებაში შესვლისას საბადრაგო ჯგუფის წევრები ტოვებენ იარაღს და საბრძოლო მასალებს დაწესებულების სამორიგეო ნაწილში.

## მუხლი 28

ბადრაგირებისათვის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიღება საბადრაგო ჯგუფის მიერ იწყება თითოეული პიროვნების შემოწმებითა და მისი გამოკითხვით.

## მუხლი 29

1. საბადრაგო ჯგუფის უფროსი ან/და საბადრაგო ჯგუფის უფროსის დავალებით საბადრაგო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიღებისას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უტარებს არასრულ შემოწმებას.

2. პენიტენციური დაწესებულებიდან, საბადრაგო ჯგუფის მიერ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიღებისას, შემოწმებას ატარებს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი საბადრაგო ჯგუფის წევრთა მონაწილეობით, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. არასრული შემოწმებისას ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შემოწმება და დათვალიერება, მისი გახდის გარეშე.

4. თუ შემოწმებაზე უფლებამოსილ პირს, არასრული შემოწმებისას, წარმოეშვა ეჭვი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მხრიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აკრძალული ნივთების, ნივთიერებების და საკვები პროდუქტის უკანონოდ ფლობის შესახებ, შემოწმებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაუტაროს პირადი სრული შემოწმება, რასთან დაკავშირებითაც დგება ოქმი დანართი №7-ის შესაბამისად.

5. ბადრაგირებისას ან/და ბრალდებულთა მსჯავრდებულთა განთავსების სხვა ადგილებში ყოფნისას, მაშინ როდესაც ბრალდებული მსჯავრდებული იმყოფება საბადრაგო ჯგუფის ზედამხედველობის ქვეშ, საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფის უფროსი აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს სამმართველოს უფროსს, რომელიც თავის მხრივ აცნობებს სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტს.

6. ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი შემოწმება ხორციელდება იმავე სქესის უფლებამოსილი პირის მიერ. შემოწმების პროცესში დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა.

7. სრული შემოწმების დაწყების წინ საბადრაგო ჯგუფის წევრი ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესთავაზებს ჩააბაროს ის საგნები, ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები, რომელთა გამოყენება აკრძალულია.

8. სრული შემოწმებისას ხდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება.

9. სრული შემოწმებისას მსჯავრდებული/ბრალდებული ვალდებულია უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები.

10. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სრულ შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფი/პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენელი უფლებამოსილია განახორციელოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის იძულებითი სრული შემოწმება.

11. პლასტიკი, თაბაშირის და სხვა ნახვევები მოწმდება საექიმო-სამედიცინო პუნქტის სამედიცინო მუშაკთან ერთად.

12. ტანსაცმელში ჩაკერებული ნივთების აღმოჩენისას ქსოვილი იჭრება.

13. ფეხსაცმიდან ამოიღება სუპინატორები და მეტალის დეტალები.

14. ბრალდებულს დარჩება მხოლოდ ის ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები, რომელთა ქონისა და შენახვის უფლებაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ გააჩნიათ.





### **მუხლი 30**

მსჯავრდებულის/ბრალდებულის სრული შემოწმება ხორციელდება იმავე სქესის პირის (საბადრაგო ჯგუფის წევრის) მიერ. დაუშვებელია შემოწმებას ესწრებოდნენ სხვა ბრალდებულები/მსჯავრდებულები.

### **მუხლი 31**

სრულ შემოწმებას ესწრება დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც აკრძალული ნივთების, ნივთიერებების ან საკვები პროდუქტების აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 32**

სრული შემოწმების დროს ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ჩამორთმეული ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები ბადრაგის მიერ მფლობელის თანდასწრებით ბარდება გამშვები დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

### **მუხლი 33**

დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიღების შესახებ ჯგუფის უფროსი ხელს აწერს შესაბამის უწყისში (ჟურნალში).

### **მუხლი 34**

საბადრაგო ჯგუფი დაწესებულებიდან იღებს თითოეულ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან დაკავშირებით ცნობას, ხოლო სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში ასევე შესაბამისად დალუქულ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეს თანდართული ცნობით. საბადრაგო ჯგუფს ეკრძალება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმის გახსნა.

### **მუხლი 35**

ყველა დოკუმენტი ფორმდება და მოწმდება ბეჭდით გამშვები დაწესებულების მიერ.

### **მუხლი 36**

ბადრაგირებისათვის მიღებას არ ექვემდებარება ბრალდებული/მსჯავრდებული:

- ა) არასწორად გაფორმებული დოკუმენტებით;
- ბ) სრული შემოწმების გარეშე;
- გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ექიმის დასკვნით);
- დ) რომელიც არ არის ჩაცმული სეზონის მიხედვით.

### **მუხლი 37**

დაუშვებელია თანმხლები სამედიცინო მუშაკის გარეშე მსჯავრდებულების/ბრალდებულების, გადაყვანა, რომლებთან დაკავშირებით არსებობს ექიმის დასკვნა, იმის თაობაზე, რომ მათი გადაადგილება სატრანსპორტო საშუალებით, სამედიცინო მომსახურების გარეშე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია.

### **მუხლი 38**

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩასხდომა სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში წარმოებს შემდეგი წესით:

- ა) ბრალდებულები/მსჯავრდებულები 2-3 კაციან კოლონაში მიიყვანება ავტომანქანასთან;
- ბ) ჯგუფის უფროსი, რომელიც იმყოფება ძარის კარებთან, ხმამაღლა აწარმოებს



ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დათვლას ცნობების მიხედვით;

გ) ბადრაგი სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში განათავსებს ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, კეტავს კარებს და გადასცემს გასაღებს ჯგუფის უფროსს.

### **მუხლი 39**

ჩასხდომის დამთავრების შემდეგ ჯგუფის უფროსი ამოწმებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობას, კარის დაკეტვის სიმტკიცეს. ჯგუფის უფროსი იარაღსა და საბრძოლო მასალებს გადასცემს საბადრაგო ჯგუფის წევრებს და ამოწმებს მათ მზადყოფნას.

### **მუხლი 40**

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩასხდომა დაწესებულების ტერიტორიის გარეთ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაში წარმოებს ამ წესის შესაბამისად, შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით:

ა) სატრანსპორტო საშუალება დგება გამომავალ კარებთან, ბადრაგს ეძლევა იარაღი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩასხდომის დაწყებამდე;

ბ) ამასთან იმ საბადრაგო ჯგუფის წევრის იარაღი, რომელიც ჩასხდომის პერიოდში იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში, გადაეცემა ჯგუფის უფროსს ან სხვა პირს ჯგუფის უფროსის მითითებით.

### **მუხლი 41**

სატრანსპორტო საშუალებებით ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ბადრაგირებისას საბადრაგო ჯგუფის წევრები განთავსდებიან: ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საკნებთან - არანაკლებ ორი, ხოლო ავტომობილის წინა ნაწილში არანაკლებ ერთი (ავტომობილის მძღოლი).

### **მუხლი 42**

1. მარშრუტზე მოძრაობის დროს ჯგუფის უფროსი იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში მძღოლის გვერდით და ხელმძღვანელობს სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებას მარშრუტის შესაბამისად.

2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანა სატრანსპორტო საშუალებით ბადრაგირების მარშრუტზე ხორციელდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, გარდა ამ წესით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

3. მოძრაობისას, საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახმისი, სპეციალური ციმციმა და ხმოვანი სიგნალი.

### **მუხლი 43**

1. მარშრუტზე 2 ან მეტი სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს, თითოეულ სატრანსპორტო საშუალებას ჰყავს ჯგუფის უფროსი, რომელიც ექვემდებარება კოლონის უფროსს, რომელიც განისაზღვრება წინასწარ მოძრაობის დაწყებამდე საბადრაგო სამმართველოს უფროსის მიერ.

2. კოლონა გადაადგილდება ანთებული მამუქებით და ციმციმებით. კოლონით ბადრაგირების მარშრუტზე ხორციელდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, გარდა ამ წესით გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

3. მოძრაობისას საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახმისი და ხმოვანი სიგნალი.

### **მუხლი 44**

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ბადრაგირებისას გეგმური მარშრუტით არაუმეტეს 3 საათის შემდეგ კეთდება გაჩერება ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. გაჩერების პუნქტად გამოიყენება მარშრუტზე მდებარე დაწესებულება, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული იქნება ბადრაგირების გეგმით.

### **მუხლი 45**



იძულებითი გაჩერების ყოველი შემთხვევის შესახებ ჯგუფის უფროსი მოახსენებს ზემდგომ ხელმძღვანელს.

#### **მუხლი 46**

ქვეითი წესით ბადრაგირებისას საბადრაგო ჯგუფის წევრები განლაგდებიან ორ ხაზზე ბრალდებულთაგან/ მსჯავრდებულთაგან არაუმეტეს ორი მეტრის დაშორებით.

#### **მუხლი 47**

საბადრაგო ჯგუფის წევრები ბადრაგირებისას თავდასხმის ან თავდასხმის მცდელობისას, გაქცევისას ან გაქცევის მცდელობისას ფიზიკურ ძალას, სპეციალურ საშუალებებსა და ცეცხლსასროლ იარაღს იყენებენ მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 48**

ამ წესის 47-ე მუხლში აღნიშნული ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სხვა საშუალებით შეუძლებელია საფრთხის თავიდან აცილება.

#### **მუხლი 49**

ბადრაგირების დროს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაქცევისას საბადრაგო ჯგუფის წევრები უფლებამოსილნი არიან მათ დასაკავებლად გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 50**

გაქცევად ითვლება დაცვის ხაზის გადაკვეთა.

#### **მუხლი 51**

დაცვის ხაზად ჩაითვლება:

ა) სატრანსპორტო საშუალებებზე – ავტომანქანის, თვითმფრინავის, აგრეთვე სადგომებისა და სათავსოების კედლები, იატაკი, ჭერი (სახურავი);

ბ) ქვეითი წესით ბადრაგირებისას – პირობითი ხაზი, რომელსაც განსაზღვრავს ჯგუფის უფროსი ამ წესის 46-ე მუხლით დადგენილი წესით;

გ) დაწესებულების გარეთ სხვა შენობაში განთავსების შემთხვევაში, ინდივიდუალურად განსაზღვრული ხაზი, რომელსაც ადგენს შენობა-ნაგებობის გათვალისწინებით ჯგუფის უფროსი საბადრაგო სამმართველოს შტაბთან შეთანხმებით.

#### **მუხლი 52**

დაცვის ხაზის საზღვრები წინასწარ ეცნობება ბრალდებულს/მსჯავრდებულს.

#### **მუხლი 53**

ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანის შემთხვევაში, მიმღებ საავადმყოფოში ეწყობა დროებითი საგუშაგო, რომელიც შედგება საბადრაგო ჯგუფის არანაკლებ 3 წევრისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვასა და მეთვალყურეობას. საჭიროების შემთხვევაში დროებითი საგუშაგო შესაძლებელია გაძლიერდეს დეპარტამენტის სპეციალური ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით.

#### **მუხლი 54**

1. ქალი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გაყვანის შემთხვევაში, მიმღებ საავადმყოფოში ეწყობა დროებითი საგუშაგო, რომელიც შედგება საბადრაგო ჯგუფის არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს ქალი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაცვასა და



მეთვალყურეობას.

2. თუ საბადრაგო სამმართველო ვერ უზრუნველყოფს დროებით საგუშაგოს ქალი საბადრაგო ჯგუფის წევრით, ის დაწესებულება, საიდანაც გაყვანილია ქალი ბრალდებული/მსჯავრდებული, ვალდებულია, საბადრაგო ჯგუფში მიავლინოს დაწესებულების მოსამსახურე ქალი.

### **მუხლი 55**

დროებითი საგუშაგო შედგება მოქმედი, მხნე და დამსვენებელი ცვლებისგან, რომლებთანაც:

- ა) მოქმედი ცვლა განთავსდება უშუალოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის გვერდით;
- ბ) მხნე ცვლა განთავსდება ისე, რომ თვალყური ადევნოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს და მოქმედ ცვლას;
- გ) დამსვენებელი ცვლა სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებასთან შეთანხმებით განთავსდება იმ ადგილისაგან იზოლირებულად სადაც განთავსებულია ბრალდებული/მსჯავრდებული.

### **მუხლი 56**

- 1. დროებითი საგუშაგოს მოწყობის შემთხვევაში საბადრაგო ჯგუფის მიერ ივსება სადღეღამისო საგუშაგო უწყისი დანართი №3-ის შესაბამისად.
- 2. საგუშაგოს გადაბარებისას გუშაგთა ახალი ცვლის მიერ ხდება საგუშაგოს შემოწმება/დათვალიერება.

### **მუხლი 57**

იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მოთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული საჭიროებს სისტემატიურ მომვლელს და სამედიცინო დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს მას მომვლელით, მომვლელად შეიძლება დაშვებულ იქნეს პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის რეკომენდაცია მომვლელის ყოლის აუცილებლობასთან დაკავშირებით და დეპარტამენტის დირექტორის თანხმობა, ხოლო ბრალდებულის შემთხვევაში დამატებით - პროკურორის ან გამომძიებლის თანხმობა.

*საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება №61 - ვებგვერდი, 04.05.2016 წ.*

### **მუხლი 58**

პირმა მომვლელად დაშვებისათვის განცხადებით უნდა მიმართოს დეპარტამენტის დირექტორს. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

- ა) მომვლელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ფოტოსურათით;
- ბ) ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გ) შესაბამისი სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის რეკომენდაცია;
- დ) ბრალდებულის შემთხვევაში - პროკურორის ან გამომძიებლის თანხმობა.

### **მუხლი 59**

სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს უფლება:

- ა) ამანათის სახით მიიღოს პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ნებადართული პირადი ჰიგიენისათვის საჭირო ნივთები და საშუალებები, თეთრეული, ტანსაცმელი და თამბაქო, რის შესახებაც ივსება სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ამანათის გადაცემის უწყისი (დანართი №4);
- ბ) ისარგებლოს დამცველთან/ადვოკატთან, სასულიერო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა პირებთან შეხვედრის უფლებით;



გ) იმ შემთხვევაში, თუ საჭიროებს სპეციალურ დიეტურ საკვებს და სამედიცინო დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულით, დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით ამანათის სახით მიიღოს დამატებითი კვების პროდუქტები, რისთვისაც აუცილებელია მკურნალი ექიმის რეკომენდაცია დიეტური საკვების მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მკურნალი ექიმის რეკომენდაციაში მითითებული უნდა იყოს ბრალდებულისათვის /მსჯავრდებულისათვის აუცილებელი დიეტური საკვების ჩამონათვალი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება №61 - ვებგვერდი, 04.05.2016 წ.

## მუხლი 60

1. დამცველი/ადვოკატი ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შესახვედრად დაიშვება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების დასაცავად გაცემული შესაბამისი ორდერის წარმოდგენის შემთხვევაში.

2. ამ მუხლით პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეხვედრის მიმდინარეობისას, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეხვედრა შესაძლოა განხორციელდეს საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეთა თანდასწრებით.

## მუხლი 61

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასულიერო პირებთან შეხვედრა ხორციელდება „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობისა და სასულიერო პირებთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის N187 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2. ამ მუხლით პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეხვედრის მიმდინარეობისას, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეხვედრა შესაძლოა განხორციელდეს საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეთა თანდასწრებით.

## მუხლი 62

1. „ბრალდებულის/მსჯავრდებულის განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის შემთხვევაში, მკურნალი ექიმის რეკომენდაციით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, ხოლო ბრალდებულის შემთხვევაში დამატებით პროკურორის ან გამომძიებლის თანხმობით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოსანახულებლად შესაძლებელია დაშვებულ იქნას პატიმრობის კოდექსის 17<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი 30 წუთის ხანგრძლივობით. ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან მონახულების მიზნით ერთდროულად ყოფნის უფლება აქვთ 1 სრულწლოვან და 2 არასრულწლოვან პირს. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულება ხორციელდება საბადრაგო ჯგუფის წარმომადგენლის თანდასწრებით.

2. ამ მუხლით პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეხვედრის მიმდინარეობისას, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შეხვედრა შესაძლოა განხორციელდეს საბადრაგო სამმართველოს მოსამსახურეთა თანდასწრებით.

## მუხლი 63

1. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულების უფლების მისაღებად პირმა განცხადებით უნდა მიმართოს დეპარტამენტის დირექტორს, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებელი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (ფოტოსურათით) ასლი;

ბ) ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) მკურნალი ექიმის რეკომენდაცია;

დ) ბრალდებულის შემთხვევაში - პროკურორის ან გამომძიებლის თანხმობა.

2. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულებასთან დაკავშირებით ივსება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მონახულების უწყისი დანართი



## მუხლი 64

1. მომნახულებელი პირის და მომვლელის ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შესვლისას ხდება მათი შემოწმება/დათვალიერება, როგორც წესი, ხელის მეტალოდეტექტორით. ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან არ დაიშვებიან ის მომნახულებელი პირები ან/და მომვლელები, რომლებიც უარს განაცხადებენ შემოწმებაზე.
2. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მომნახულებელ პირს ან მომვლელს განზრახული აქვს სამკურნალო სამედიცინო დაწესებულებაში შეიტანოს აკრძალული ნივთები, ნივთიერებები და საკვები პროდუქტები, საბადრაგო ჯგუფის წარმომადგენელი ამ პირს განუცხადებს რომ, მას შესვლის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი თანხმობას განაცხადებს მისი კუთვნილი ნივთებისა და ტანსაცმლის შემოწმებაზე. შემოწმების შედეგად გადამალული საგნების, ნაკეთობების ან ნივთიერებების აღმოჩენისას საბადრაგო ჯგუფის მიერ პირი იქნება დროებით შეჩერებული, რაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება დეპარტამენტს და შესაბამის საგამომიებო ორგანოს საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად

## მუხლი 65

ბრალდებულის/მსჯავრდებულის განსაკუთრებით პირად გარემოებებთან დაკავშირებით ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შემთხვევაში დგება საბადრაგო ჯგუფის წევრების მორიგეობის და დასვენების გეგმა საბადრაგო სამმართველოს შესაბამისი განყოფილების უფროსის მიერ.

## მუხლი 66

გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის დაყოვნებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მძიმე შედეგი, რაც დადასტურებული იქნება ექიმის რეკომენდაციით, ბადრაგირებს ახორციელებს შესაბამისი დაწესებულების უსაფრთხოების ან/და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილებების თანამშრომლებისაგან დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ჯგუფი ექიმის თანხლებით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ საგულშაღო ფუნქციების და ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაბარებას მოახდენს საბადრაგო ჯგუფი.

## მუხლი 67

1. ამ წესის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბადრაგო ჯგუფს, ბრალდებულებს/ მსჯავრდებულებს ათავსებს საერთო სასამართლოების შენობებში არსებულ სპეციალურ საკნებში (ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში).
2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, სპეციალურ საკნებში მოთავსებისას ვალდებულია დაიცვას ამ წესის 24-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.
3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალურ საკნებში მოთავსებიდან სასამართლო სხდომის დარბაზამდე მიყვანა/გამოყვანა ხდება თითოეულ ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე პასუხისმგებელი საბადრაგო ჯგუფის წევრის მიერ, რასაც ჯგუფის უფროსი აფიქსირებს უწყისში (დანართი N2<sup>ა</sup>).
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბადრაგო ჯგუფის წევრები უზრუნველყოფენ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიყვანასა და გამოყვანას სასამართლო სხდომის დარბაზამდე, აგრეთვე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას უზრუნველყოფენ მის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოებას.
5. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბადრაგო ჯგუფის წევრები უფლებამოსილი არიან გამოიყენონ პატიმრობის კოდექსის 57<sup>1</sup> და 57<sup>2</sup> მუხლებით განსაზღვრული საშუალებები.



## თავი III

### საჰაერო ბადრაგირება

#### მუხლი 68

საჰაერო ბადრაგირებისას ჯგუფის უფროსი ბადრაგირების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საჰაერო ხომალდის წარმომადგენელს.

#### მუხლი 69

საჰაერო ბადრაგირებისას საჭიროა შემდეგი პროცედურების დაცვა:

- ა) ბილეთის შეკვეთისას ოპერატორს უნდა ეცნობოს, რომ მოსალოდნელი მგზავრი არის ბრალდებული/მსჯავრდებული;
- ბ) აეროპორტში მისვლის შემდეგ, თვითმფრინავის გაფრენამდე არაუგვიანეს 20 წუთისა, ჯგუფის უფროსმა საკუთარი თავი, ჯგუფის წევრები და ბრალდებული/მსჯავრდებული უნდა წარუდგინოს მგზავრების გადაყვანაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს;
- გ) საბადრაგო ჯგუფის წევრები ფრენის დროს უნდა იხდნენ ბრალდებულის/მსჯავრდებულის გვერდით;
- დ) თვითმფრინავში აკრძალულია ალკოჰოლური სასმელების მიღება საბადრაგო ჯგუფის წევრების და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ;
- ე) აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის და საშიში საგნების გადატანა საჰაერო ხომალდის სალონში.

#### მუხლი 70

შემზღუდავი საშუალებების გამოყენება არ უნდა გულისხმობდეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიჯაჭვას თვითმფრინავის რომელიმე ნაწილზე.

#### მუხლი 71

თვითმფრინავით მგზავრობისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუძლია თან იქონიოს მხოლოდ წამლები ან/და გადაადგილებისათვის აუცილებელი ნივთები. სხვა ნივთები ბარდება თვითმფრინავის საბარგო განყოფილებას.

#### მუხლი 72

ბრალდებულის/მსჯავრდებულის, ასევე მისი ნივთები სრულად მოწმდება საბადრაგო ჯგუფის მიერ გაფრენამდე ამ წესით განსაზღვრული წესით.

#### მუხლი 73

ფრენის დასრულების შემდეგ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ნივთებს იღებს საბადრაგო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და გადასცემს შესაბამის ორგანოს.

## თავი IV

### საბადრაგო ჯგუფის წევრების ვალდებულებები

#### მუხლი 74

საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებული არიან:

- ა) არ დატოვონ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის გარეშე ბრალდებული/მსჯავრდებული, რომლის გაყვანა/გადაყვანა ან დაცვა ევალება ყოფნის სხვა ადგილებში;



ბ) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსების წინ შეამოწმონ კარების, საკეტების, კავშირის და განათების საშუალებების გამართულობა, დარწმუნდნენ განთავსების ადგილებში უცხო საგნების არარსებობაში;

გ) ბრალდებულები/მსჯავრდებულები განათავსონ ჯგუფის უფროსის მითითებით, ხმამაღალი დათვლით და დაკეტონ კარები საკეტით;

დ) აწარმოონ დაკვირვება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ქცევაზე, არ მისცენ მათ ნება იხმაურონ, მოწიონ, იყვნენ კარების გისოსებთან, დაფარონ განთავსების შიგნითა ნაწილი;

ე) კარების გასაღებად დაუშვან მხოლოდ ჯგუფის უფროსი ან მის მიერ განსაზღვრული მოსამსახურე;

ვ) ჩასხდომის წინ დაათვალიერონ ბრალდებულები/მსჯავრდებულები და მათი განთავსების ადგილები და შედეგები მოახსენონ ჯგუფის უფროსს;

ზ) შეაფასონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მოსალოდნელი გაქცევის რისკები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება;

თ) პერიოდულად, სამსახურებრივი ტელეფონის მეშვეობით მოახსენოს თავის ხელმძღვანელობას არსებული ვითარების შესახებ.

## მუხლი 75

1. საბადრაგო ჯგუფის წევრებს, გარდა საბადრაგო ჯგუფის უფროსისა და სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ეკრძალებათ მობილური ტელეფონის ქონა. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, მობილური ტელეფონით სარგებლობის უფლებას გასცემს დეპარტამენტის კურატორი დირექტორის მოადგილე. საბადრაგო ჯგუფის უფროსმა, დეპარტამენტის კურატორი დირექტორის მოადგილის წერილობითი ნებართვით, შეიძლება მისცეს მობილური ტელეფონის ქონის უფლება საბადრაგო ჯგუფის სხვა წევრსაც.

2. საბადრაგო ჯგუფის რიცხოვნობისა და შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით, საბადრაგო სამმართველოს შტაბის მიერ შეიძლება დამატებით განისაზღვროს პირები, რომლებსაც მიეცემათ მობილური ტელეფონით სარგებლობის უფლება.

3. საბადრაგო ჯგუფის უფროსი, სატრანსპორტო საშუალების მძღოლი და სხვა უფლებამოსილი საბადრაგო ჯგუფის წევრი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სარგებლობენ მხოლოდ სამინისტროს ბალანსზე რიცხული მობილური ტელეფონებით და სამსახურებრივი (კორპორატიული) ნომრებით. საბადრაგო ჯგუფის უფროსს უფლება აქვს თან იქონიოს მობილური ტელეფონი დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას/გადაცემისას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ პირებს ეკრძალებათ პირადი ზარების განხორციელება. მობილური ტელეფონიდან ზარები უნდა განხორციელდეს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით.

5. მობილური ტელეფონის სხვა პირისათვის გადაცემა აკრძალულია.

## მუხლი 76

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩასხდომა-გადმოსხდომისას, ასევე გაჩერების დროს ბადრაგი იმყოფება სატრანსპორტო საშუალების უკანა მარჯვენა მხარეს და უზრუნველყოფს საიმედო დაცვას, რათა არ დაუშვას უცხო პირთა შეგროვება და მოძრაობა სატრანსპორტო საშუალების უშუალო სიახლოვეს.

## მუხლი 77

ბადრაგირებისას საბადრაგო ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იზოლაცია უცხო პირებისაგან. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, საბადრაგო ჯგუფის წევრების და სატრანსპორტო საშუალების დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფი უფლებამოსილია შეატყობინოს პოლიციის შესაბამის განყოფილებას.

## მუხლი 78





ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საპირფარეოში გაყვანა წარმოებს მათი თხოვნით, მხოლოდ სათითაოდ. საპირფარეოში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანის წინ მოწმდება საპირფარეო და ბრალდებულს/მსჯავრდებულს განემარტება გაყვანის წესი. საპირფარეოსაკენ მსვლელობისას და უკან დაბრუნებისას წინ მიდის საბადრაგო ჯგუფის წევრი, ხოლო შემდეგ ბრალდებული/მსჯავრდებული, უკან – ჯგუფის უფროსი ან მის მიერ განსაზღვრული საბადრაგო ჯგუფის წევრი.

## თავი V

### ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები და ვალდებულებები

#### მუხლი 79

ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს თან იქონიოს:

- ა) სასამართლო პროცესისათვის საჭირო დოკუმენტაცია და შესაბამისი სამართლებრივი აქტები;
- ბ) წყალი და საკვები;
- გ) საწერი საშუალებები (კალამი, ფანქარი, ფურცლები).
- დ) სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში შესაბამის დაწესებულებაში ნებადართული ნივთები.

#### მუხლი 80

ბრალდებული/მსჯავრდებული ვალდებულია:

- ა) არ გადაყაროს ნივთები, წერილები და ჩანაწერები;
- ბ) არ დააზიანოს სატრანსპორტო საშუალება და მისი აღჭურვილობა;
- გ) არ გააკეთოს წარწერები სატრანსპორტო საშუალებაზე;
- დ) დაიცვას სისუფთავე სატრანსპორტო საშუალებაში;
- ე) არ იხმაუროს, ან არ ეკონტაქტოს განცალკევებით განთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს;
- ვ) შეასრულოს ბადრაგის კანონიერი მოთხოვნები;
- ზ) არ იქონიოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთები;
- თ) არ გადასცეს ნივთები სხვა პირებს;
- ი) არ გაიხადოს ტანსაცმელი;
- კ) არ იქონიოს თან ასანთი და თამბაქო.

#### მუხლი 81

ბადრაგირების ჯგუფის უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი ჯგუფის წევრი, ბადრაგირების დაწყებამდე ბრალდებულს/მსჯავრდებულს აცნობს ამ წესის 79-ე და მე-80 მუხლებით დადგენილ ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებებსა და ვალდებულებებს.

#### მუხლი 82

ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიერ ბადრაგირების დადგენილი წესის დარღვევისას საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან შეადგინონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ბადრაგირებისას ჩადენილი დარღვევის ოქმი, სადაც მიეთითება დარღვევის ხასიათი და გარემოებები. ოქმი გაეცნობა დამრღვევ ბრალდებულს/მსჯავრდებულს და დაერთვის მის პირად საქმეს.



## მუხლი 83

ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიერ ბადრაგირების დადგენილი წესის დარღვევისათვის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პატიმრობის კოდექსის 82-ე მუხლით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რომელსაც შეუფარდებს იმ დაწესებულების დირექტორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, სადაც ბრალდებული/მსჯავრდებული იქნება გადაყვანილი ან დაბრუნებული.

## თავი VI

### საბადრაგო ჯგუფის დაწესებულებაში მისვლა

## მუხლი 84

საბადრაგო ჯგუფის მარშუტის საბოლოო პუნქტში მისვლისას, სადაც მდებარეობს დაწესებულება, ჯგუფის უფროსი ატყობინებს დაწესებულებას ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ.

## მუხლი 85

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჩაბარების შემდეგ ჯგუფის უფროსი აჯამებს შედეგებს მგზავრობისას და ამზადებს ჯგუფს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ხელახალი ბადრაგირებისათვის.

## მუხლი 86

დაწესებულებისათვის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაცემა წარმოებს შემდეგი წესით: დაწესებულებას წარედგინება სამგზავრო სია, ცნობა, შესაბამისად დალუქული ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

## თავი VI

### გაუთვალისწინებელ სიტუაციებში მოქმედების წესი

## მუხლი 87

ბადრაგირებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეტყობინება ეგზავნება დეპარტამენტს და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. საბადრაგო ჯგუფის წევრები მოქმედებენ დეპარტამენტის და შესაბამისი სამედიცინო სამსახურის მითითების შესაბამისად.

## მუხლი 88

ბადრაგირების დროს ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში სპეციალური სატრანსპორტო საშუალება უნდა გაჩერდეს. ჯგუფის უფროსმა აღნიშნულის თაობაზე უნდა შეატყობინოს დეპარტამენტს, პოლიციას და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს.

## მუხლი 89

1. საგანგებო, საომარი ან/და გაუთვალისწინებელი მდგომარეობისას (გაქცევა, თავდასხმა, მძევლების აყვანა, სტიქიური უბედურება, ხანძარი, ავტოსაგზაო შემთხვევა, სატრანსპორტო საშუალების დაზიანება და ა.შ.) ჯგუფის უფროსი ვალდებულია დაუკავშირდეს დეპარტამენტს და იმოქმედოს მიღებული მითითებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. თუ ვერ მოხერხდა დეპარტამენტთან დაკავშირება საბადრაგო ჯგუფი უკავშირდება პოლიციას ან თავდაცვის სამინისტროს უახლოეს ობიექტს.

3. თუ ვერ მოხერხდა ვერც ერთ ორგანოსთან დაკავშირება ჯგუფი მიემართება უახლოეს დაწესებულებაში ან უახლოეს პოლიციის ორგანოში ან გადაადგილდება სხვა უსაფრთხო ადგილზე.

## თავი VII

### მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა



## მუხლი 90

საბადრაგო სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება შეიარაღების, ტექნიკის, საბრძოლო მასალების საბრძოლო მდგომარეობაში მუდმივი ყოფნის მიზნით.

## მუხლი 91

მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები მიიღება და გაიცემა შესაბამისი განყოფილების უფროსების მიერ.

## მუხლი 92

საბადრაგო ჯგუფის შემადგენლობაზე გაიცემა მათზე მიმაგრებული, გამართული საბრძოლო იარაღი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 93

დეპარტამენტის დირექტორის ბრძანებით საბადრაგო ჯგუფის წევრებზე შეიძლება გაიცეს ტყვიამფრქვევები და სნაიპერული შაშხანები.

დანართი №2

### პენიტენციური დეპარტამენტი

#### საბადრაგო სამმართველო

#### საბადრაგო უწყისი

N ----- დაწესებულებიდან -----

(მარშრუტის დასახელება)

თარიღი „-----“ „-----“ 20 15 წელი

გუშაგთა ცვლის უფროსი -----

(სახელი, გვარი)

გუშაგთა ცვლის უფროსის მოადგილე -----

(სახელი, გვარი)

№	გუშაგთა შემადგენლობა (გვარი, სახელი)	შენიშვნა
1		(გუშაგი)
2		(გუშაგი)
3		(გუშაგი)
4		(გუშაგი)
5		(გუშაგი)



6		(გუშაგი)
7		(გუშაგი)
8		(გუშაგი)
9		(გუშაგი)
10		(გუშაგი)
11		
12		
13		(მბლოლი) სპეც. ავტომატის სახელმწიფო ნომ.

საბადრაგო სამმართველოს

განყოფილების უფროსი / -----/

N	ბრალდებული/მსჯავრდებული გვარი, სახელი		ბრალდებული/მსჯავრდებული გვარი, სახელი
1		26	
2		27	
3		28	
4		29	
5		30	
6		31	



7		32	
8		33	
9		34	
10		35	
11		36	
12		37	
13		38	
14		39	
15		40	
16		41	
17		42	
18		43	
19		44	
20		45	
21		46	
22		47	
23		48	
24		49	
25		50	

1. პირადი შემადგენლობა გამოცხადდა № ----- დაწესებულებაში ----- საათზე

ობ. მორიგე: /----- /

„----- „ ----- „ 2015 წელი

2. პ/შემადგენლობა გავიდა N ----- დაწესებულებიდან ----- საათზე

ობ. მორიგე: / /

„----- „ ----- „ 2015 წელი



3. პ/შემადგენლობა გამოცხადდა დანიშნულების ადგილებზე

----- საათზე „-----“ „-----“ 2015წელი

-----

(თანამდებობა სახელი,გვარი) /-----/  
(ხელმოწერა)

4. პ/შემადგენლობა გამოვიდა დანიშნულების ადგილიდან

----- საათზე

-----

(თანამდებობა სახელი,გვარი) /-----/  
(ხელმოწერა)

----- „-----“ 2015 წელი

5. ჩავიბარე ( \_\_\_\_\_ ) მსჯავრდებული/ბრალდებული

N ----- დაწესებულების ოპერატიული მორიგე ----- საათზე

----- / ----- /

( ხელმოწერა) (სახელი ,გვარი)

„-----“ „-----“ 2015 წელი.

შენიშვნა : -----  
-----  
-----  
-----





საბადრაგო სამმართველოს -----

განყოფილების უფროსი: /-----/

გუშაგთა ცვლის უფროსი: /-----/

დანართი №3

პენიტენციური დეპარტამენტი  
საბადრაგო სამმართველო

საბადრაგო უწყისი

სვლა - გეზით -----

„----“-----2015-წლიდან

„----“-----2015-წლამდე

საბადრაგო სამმართველოს საგუშაგოს შესრულების გათვლა

გუშაგთა ცვლის უფროსი-----

სახელი, გვარი

გუშაგთა ცვლის უფროსის თანაშემწე -----

სახელი, გვარი

გუშაგი -----

სახელი, გვარი

გუშაგი -----

სახელი, გვარი

ბრალდებული/მსჯავრდებული -----

სახელი, გვარი

სახელი, გვარი





შემადგენლობა (სახელი გვარი)	გრაფიკი (საათობრივი გათვლა)		
	I მოქმედი ცვლა	II მხნე ცვლა	III დამსვენებელი ცვლა
	12-14 18-20 00-02 06-08	14-16 20-22 02-04 08-10	16-18 22-00 04-06 10-12
	14-16 20-22 02-04 08-10	16-18 22-00 04-06 10-12	18-20 00-02 06-08
	16-18 22-00 04-06 10-12	18-20 00-02 16-08	20-22 02-04 08-10
შენიშვნა			

ისტრუქტაჟი ჩაატარა:

-----

თანამდებობა, სახელი, გვარი

საგუშაგოს მიღება/ჩაბარება:

ჩავაბარე -----

დრო

გუშაგთა ცვლის უფროსის სახელი, გვარი, ხელმოწერა

ჩავიბარე -----

დრო

გუშაგთა ცვლის უფროსის სახელი, გვარი, ხელმოწერა



შევამოწმე -----  
-----  
-----  
-----

შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი:

----- „-----“ ----- 2015 წელი  
(თანამდებობა)

შევამოწმე -----  
-----  
-----  
-----

შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი:

----- „-----“ ----- 2015 წელი  
(თანამდებობა)

შევამოწმე -----  
-----  
-----  
-----

შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი:



(თანამდებობა)

დანართი №4

სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ამანათის გადაცემის უწყისი

ბრალდებული/მსჯავრდებული -----

სახელი და გვარი

ამანათის გადამცემი პირი -----

სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი

ამანათში მოთავსებული ნივთები და საშუალებები

1	
2	
3	
4	
5	
6	

გაფრთხილებული ვარ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირისათვის არანებადართული და აკრძალული საგნების გადაცემისათვის, რასაც ხელმოწერით ვადასტურებ:

ამანათის გადამცემი პირის ხელმოწერა

„—“ ————— 20 წ.

ამანათი ჩავიბარე

ბრალდებულის/მსჯავრდებულის სახელი, გვარი და ხელმოწერა

საბადრაგო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა



შევამოწმე -----  
-----  
-----

შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი:

----- „-----“ ----- 2015წელი  
(თანამდებობა)

შევამოწმე -----  
-----  
-----

შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი:

----- „-----“ ----- 2015წელი  
(თანამდებობა)

შევამოწმე -----  
-----  
-----

შემოწმებაზე პასუხისმგებელი პირი:

----- „-----“ ----- 2015წელი  
(თანამდებობა)



**ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში მონახულების უწყისი**

მომნახულებელი პირი  (სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო ნომერი)	ბრალდებულის/მსჯავრდებულის  (სახელი, გვარი)	შესვლის დრო	გამოსვლის დრო

\_\_\_\_\_  
(მომნახულებელი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

\_\_\_\_\_  
(საბადრაგო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

„----“ ----- 20 წ.

პენიტენციური დეპარტამენტი  
საბადრაგო სამმართველო

----- სასამართლოდან დაწესებულებაში ეტაპირებული

ბრალდებულ/მსჯავრდებულის ჩაბარების



N \_\_\_\_ დაწესებულების ოპერატიულმა მორიგემ -----

(სახელი, გვარი)

ჩავიბარე ----- ბრალდებული/მსჯავრდებული ----- 2015 წელი ----- საათზე

(რაოდენობა)

(თარიღი)

№	ბრალდებულ/მსჯავრდებული სახელი, გვარი	№	ბრალდებულ/მსჯავრდებული სახელი, გვარი	№	ბრალდებულ/მსჯავრდებული სახელი, გვარი
1		16		31	
2		17		32	
3		18		33	
4		19		34	
5		20		35	
6		21		36	
7		22		37	
8		23		38	
9		24		39	
10		25		40	
11		26		41	
12		27		42	
13		28		43	
14		29		44	
15		30		45	

ჩავაბარე გუმაგთა ცვლის უფროსი /----- /



გუშაგთა ცვლის შემადგენლობა

№	თანამდებობა	გვარი, სახელი	გვარი, სახელი
	გუშაგთა ცვლის უფროსი	1	8
	გუშაგთა ცვლის უფროსის თანაშემწე	2	9
	ინსპექტორი(გუშაგი)	3	10
	ინსპექტორი(გუშაგი)	4	11
	ინსპექტორი(გუშაგი)	5	12
	ინსპექტორი(გუშაგი)	6	13
	ინსპექტორი(გუშაგი)	7	14
სპეც. ავტომანქანა სახ. ნომერი მძღოლის სახელი გვარი:			15

დანართი №7

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა  
სრული შემოწმების

ოქმი

პირის სახელი, გვარი, მამის სახელი, ვისაც უტარდება სრული შემოწმება	პირის, სახელი და გვარი, ვინც ატარებს შემოწმებას	პირის სახელი (სახელები) და გვარები(გვარები), ვინც ესწრება(ესწრებიან) სრულ შემოწმებას	შემოწმების ჩატარების დრო და ადგილი	შემოწმების ჩატარების საფუძველი	შემოწმების შედეგი

ხელმოწერა: ----- ბადრაგირების ჯგუფის უფროსი.

ხელმოწერა: ----- სრული შემოწმების ჩამტარებელი პირი.

დანართი №8

პენიტენციური დეპარტამენტი



ოპერატიული მართვისა და კოორდინაციის განყოფილება  
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანის ჟურნალი

1. გაყვანა/გადაყვანის ინიციატორი დაწესებულება

---

2. შეტყობინების გადმომცემი პირის ვინაობა და თანამდებობა

---

3. გასაყვანი/გადასაყვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ვინაობა

---

4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის მოთხოვნის საფუძველი

---

5. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაუდებელი გაყვანა/გადაყვანის აუცილებლობა

---

6. ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანის დანიშნულების ადგილის მისამართი

---

7. ბრალდებულის/მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილას გაყვანა/გადაყვანის დრო

---

8. განყოფილების მიერ დეპარტამენტის დირექტორისთვის შეტყობინების გადაცემის დრო

---

9. დეპარტამენტის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების მიღების დრო

---





10. დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საბადრაგო სამმართველოსთვის გადაცემის დრო

---

11. საჭიროების შემთხვევაში, საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების შესახებ საბადრაგო სამმართველოდან შეტყობინების მიღების დრო და მოტივი

---

12. საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების შესახებ საბადრაგო სამმართველოდან შეტყობინების დეპარტამენტის დირექტორისათვის გადაცემის დრო

---

13. საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების შესახებ დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების მიღების დრო

---

14. საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების შესახებ დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საბადრაგო სამმართველოსთვის გადაცემის დრო

---

15. საბადრაგო ჯგუფის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეებით გაძლიერების შესახებ დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოსთვის გადაცემის დრო

---

16. დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების ბადრაგირების ინიციატორისა და დაწესებულებისათვის გადაცემის დრო

---

17. სხვა საკითხები (შენიშვნები):

---

შეტყობინების მიმღები:

/...../



„----- „ ----- „ 20\_\_ წელი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 18 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 19.04.2016 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის ბრძანება №60 - ვებგვერდი, 04.05.2016 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №117 - ვებგვერდი, 19.08.2016 წ.

